

მარიან ავტომობილებს შორის საქართველოს ჩემპიონატში, HONDA Civic
კლასში, მონაწილე ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნები.
2018 წელი

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2018 წელი

სარჩევი:

1. დაშვებული ავტომობილები - გვ. 2;
2. ძრავა - გვ. 2;
3. ჰაერის მიწოდების სისტემა - გვ. 3;
4. საწვავის მიწოდების სისტემა - გვ. 4;
5. მაყუჩი და აირგამშვები სისტემა - გვ. 4;
6. ტრანსმისია - გვ. 4;
7. სამუხრუჭე სისტემა - გვ.5;
8. საჭის მართვის სისტემა - გვ. 5;
9. სავალი ნაწილი - გვ. 6;
 - 9.1. სტაბილიზატორი - გვ. 6;
 - 9.2. დაკიდების სისტემა - გვ. 6;
 - 9.3. საბურავები - გვ. 6;
 - 9.4. ლიანდი - გვ. 6;
10. ელექტრო სისტემა - გვ. 6;
 - 10.7. აკუმულატორი - გვ. 7;
11. გაყვანილობა - გვ. 8;
12. ძარა - გვ. 8;
 - 12.9. წონა - გვ. 9;
13. მინები - გვ. 9;
14. ინტერიერი - გვ. 10;
 - 14.1. მაჩვენებელთა პანელი - გვ. 10;
 - 14.2. სალონის მოპირკეთება - გვ. 10;
15. ბალასტი - გვ. 10;
16. უსაფრთხოების აღჭურვილობა - გვ. 11;
 - 16.1. ეკიპაჟის უსაფრთხოების აღჭურვილობა - გვ. 11;
 - 16.1.1. ეკიპირება - გვ. 11;
 - 16.1.2. დამცავი ჩაფხუტი - გვ. 11;

- 16.1.3. სპორტული კომბინიზონი - გვ. 12;
- 16.1.4. დამხმარე ეკიპირება - გვ. 12;
- 16.1.5. HANS - გვ. 13;
- 16.2. ავტომობილის უსაფრთხოების აღჭურვილობა - გვ. 13;
 - 16.2.1. უსაფრთხოების ღვედი - გვ. 13;
 - 16.2.2. სპორტული სავარძელი - გვ. 14;
 - 16.2.3. სპორტული სავარძლის სამაგრი - გვ. 14;
 - 16.2.4. ცეცხლმაქრი - გვ. 15;
 - 16.2.5. უსაფრთხოების კარკასი - გვ. 15;
 - 16.2.6. ელექტრო ამომრთველი - გვ. 15;
 - 16.2.7. უსაფრთხოების ბადეები - გვ. 16;
 - დანართი 1 - გვ. 17;

1. დაშვებული ავტომობილები

- 1.1. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა ავტომობილს, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ მოთხოვნებს;
- 1.2. შეჯიბრებაზე დაიშვება მხოლოდ ის ავტომობილი, რომელიც რეგისტრირებულია და გააჩნია სახელმწიფო ნომერი ან რეგისტრირებულია საავტომობილო სპორტის ფედერაციაში როგორც სპორტული ბოლიდი და გააჩნია ფედერაციის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა (სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი);
- 1.3. შეჯიბრში რეგისტრაციის გასავლელად მრბოლელს უნდა გააჩნდეს მონაწილის (Competitor) ლიცენზია ან ყავდეს ამ ლიცენზიის მფლობელი მისი წარმდგენი პირი;
- 1.4. ყოველი სარბოლო ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ და უსაფრთხოების ნორმებს;
- 1.5. ავტომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ან ტექნიკურ მოთხოვნებს, არ დაიშვება შეჯიბრებაზე. ასევე არ დაიშვება ავტომობილი, რომლის კონსტრუქციასაც საფრთხის შემცველად ჩათვლიან ტექნიკური კომისარი და ტექნიკური კონტროლიორები;
- 1.6. შეჯიბრებაზე დაიშვება მხოლოდ Honda Civic-ის მარკის ავტომობილი შემდეგი მოდიფიკაციებით EF, EG, EJ, EK;

2. ძრავა

- 2.1. ძრავში ცვლილებები განისაზღვრება სსსფ-ს ტექნიკური მოთხოვნების საფუძველზე კონკრეტული მოდელისთვის;
- 2.2. ავტომობილის დასაშვები ძრავის მოდელები: D14A2, D14A3, D14A4, D14Z1, D14Z2, D15B2, D15B7;
- 2.3. ძრავის შემადგენელი ნაწილები უნდა იყოს ქარხნული კომპლექტაციის (მათ შორის სარემონტო ზომები);
- 2.4. ძრავის კონფიგურაციაა: 4 მუშა ცილინდრი, ვერტიკალური განლაგებით, ერთი გამანაწილებელი ლილვით და მხოლოდ ქარხნული კომპლექტაციის საწვავის მრავალ წერტილოვანი ან მონო შეფრქვევის სისტემით;

- 2.5. დასაშვები ძრავას მოცულობაა 1500 სმ³–მდე;
- 2.6. დასაშვები ძრავის კომპლექტაცია მოცემულია დანართი #1-ში;
- 2.7. ძრავის ტექნიკური მონაცემები და სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ზემო ზღვარს (105 ცხენის ძალას ძრავზე);
- 2.8. ძრავის მბრუნავი ელემენტები, ისეთები როგორცაა: შკივები, მქნევარა, ღვედის დამჭიმები და სხვა, უნდა იყოს ქარხნული სტანდარტული, მისი წონის ზომის და სხვა მონაცემების გათვალისწინებით;
- 2.9. ძრავის ბრუნვათა მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება 7300 ბრ/წთ;
- 2.10. დასაშვებია კონდიციონერის სისტემის გაუქმება;
- 2.11. დაუშვებელია ძრავის ნებისმიერი კომპლექტაციის შეცვლა, გარდა წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული დაშვებებისა;
- 2.12. დასაშვებია ძრავში დგუშების შეცვლა მხოლოდ ქარხნული საიდენტიფიკაციო კოდის მაჩვენებლით გამოშვებული სარემონტო ზომების გათვალისწინებით, არაუმეტეს +0,50 მმ;
- 2.13. დაშვებულია ზეთის მიქცევის საწინააღმდეგო ტიხრების მოწყობა ძრავის კარტერში;
- 2.14. დაშვებულია კარტერის გაზების სეპარატორის (მოცულობით 1 ლიტრი) და ზეთის შემკრები რეზერვუარის დაყენება. ასეთი რეზერვუარის მოცულობა უნდა იყოს 2 ლიტრი. რეზერვუარი დამზადებული უნდა იყოს პლასტიკის გამჭვირვალე ან სხვა მასალით, რომელიც აღჭურვილი იქნება ზეთის დონის მაჩვენებლით;
- 2.15. დასაშვებია მხოლოდ FIA-ს დანართი J-ით გათვალისწინებული საწვავის გამოყენება. (დან. J. 252.9) MAX (RON-102.0) (MON-90.0);
- 2.16. ძრავის მოცულობის გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით:
 $V = 0.7854 \times B^2 \times S \times N$, სადაც:
V = ძრავის მოცულობა
B = ცილინდრის დიამეტრი
S = დგუშის სვლა (მანძილი ზედა მკვდარ და ქვედა მკვდარ წერტილს შორის)
N = ცილინდრების რაოდენობა

3. ჰაერის მიწოდების სიტემა

- 3.1. დასაშვებია ძრავის სტანდარტული ჰაერის ფილტრის ე.წ. „ნაკლები წინააღმდეგობის“ ფილტრით შეცვლა;
- 3.2. დაუშვებელია შემსვლელ კოლექტორში ავტომობილის მოძრაობისას ჰაერის შემხვედრი ნაკადის პირდაპირი წესით მიწოდება;
- 3.3. დაუშვებელია ჰაერის მიწოდების სისტემაში წნევის შექმნისთვის რაიმე მოწყობილობის შექმნა;
- 3.4. შემშვები კოლექტორის დიამეტრი და კონსტრუქცია უნდა იყოს სტანდარტული;
- 3.5. ჰაერის შემშვები კოლექტორი უნდა იყოს ქარხნული წარმოების კონკრეტული მოდელისთვის. დაუშვებელია მისი მექანიკური დამუშავება;
- 3.6. ჰაერის მიმღებ სისტემაში დასაშვებია ჰაერის მიწოდების არხის ჩანაცვლება არა ქარხნული წარმოების ნებისმიერი მასალის მილით, იმ შემთხვევაში თუ ეს არ სცდება ქარხნულ ზომებს (დიამეტრი);

4. საწვავის მიწოდების სისტემა

- 4.1. დაუშვებელია ნებისმიერი ჩარევა საწვავის მიწოდების სისტემაში. (მათ შორის შემშვებ აგრეგატში);
- 4.2. საწვავის ინჟექტორული შეფრქვევის სისტემა (INTAKE MANIFOLD) უნდა იყოს შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით: D15B2/B7 ძრავებზე P-06. P-10. შიდა დიამეტრის მაქსიმალური ზომა 40 მმ. და დროსელის მაქსიმალური დიამეტრი 57 მმ;
- 4.3. დაუშვებელია საწვავის ავზში დანამატების ჩასხმა (ე.წ ოქტანო ბუსტერი და სხვა);
- 4.4. დაშვებულია ბენზინის სისტემის ფილტრის შეცვლა;
- 4.5. დასაშვებია FIA-ს ჰომოლოგირებული საწვავის ავზის დაყენება შესაბამისი რეგულაციების დაცვით;

5. მაცურის და აირგამშვები სისტემა

- 5.1. ნამუშევარი აირების გამშვები კოლექტორი უნდა იყოს ქარხნული წარმოების, კონკრეტულად არსებული მოდელისთვის. დაუშვებელია მისი მექანიკური დამუშავება;
- 5.2. ნამუშევარი აირების გამომშვები ტრაქტის კონფიგურაცია უნდა იყოს ქარხნული კომპლექტაციის (პროექცია ზედხეში);
- 5.3. ნამუშევარი აირების გამომშვები ტრაქტის მილის მაქსიმალური დიამეტრი (გაზომვა ხორციელდება გარე დიამეტრით) არ უნდა აღემატებოდეს **48** მილიმეტრს;
- 5.4. დასაშვებია ნამუშევარი აირების გამომშვებ ტრაქტში დამატებითი კვანძების მოცილება მაგ: (ალსაქრობი ,კატალიზატორი) ასევე დასაშვებია მაცურის შეცვლა;
- 5.5. სავალდებულოა მაცურის ბოლო ნაწილში ქილის არსებობა. ზომა და ფორმა ინდივიდუალური (იგულისხმება როგორც სტანდარტული ასევე სხვა მწარმოებლების სპორტული და ნახევრად სპორტული ავტომობილებისთვის სპეციალურად შექმნილი სისტემები);
- 5.6. დასაშვებია მაცურს ქილის შიდა ტიხრების მოცილება;
- 5.7. გამონაბოლქვი აირები უნდა გამოდიოდეს მხოლოდ მაცურის დაბოლოებიდან;
- 5.8. გამონაბოლქვი გაზების გაშვების სისტემის ბოლო წერტილი არ უნდა ცდებოდეს ავტომობილის გარე კონტურს და შესაძლებელია რომ ის შეწყული იყოს ავტომობილის გარე კონტურიდან მაქსიმუმ 10 სმ-ით;
- 5.9. დაუშვებელია ნამუშევარი აირების გამომშვები ტრაქტის მილების დიამეტრის გაზრდა;

6. ტრანსმისია

- 6.1. დაშვებულია მხოლოდ ჰონდის მარკის ნებისმიერი მოდელის სტანდარტული სიჩქარეთა კოლოფი;
- 6.2. დაშვებულია გადაცემათა კოლოფის მოდიფიცირება მხოლოდ ქარხნული სათადარიგო ნაწილებით (დეტალები რომელიც გამოყენებული იქნება კოლოფში უნდა იყოს ქარხნულად წარმოებული და უნდა არსებობდეს ამ ტიპის და მოდელის ავტომობილი აღჭურვილი ამ გადაცემათა რიცხვით, ან ამ კონკრეტული დეტალით);
- 6.3. გადაბმულობის ქურო უნდა იყოს ქარხნული წარმოების არსებული მოდელისთვის;


6.4. დასაშვებია გადაბმულობის დისკოს ჩანაცვლება ნებისმიერი ტიპის ქარხნული ზომის დისკოთი;



6.5. დაუშვებელია სრული ან ნაწილობრივი თვით მახლოკირებელი მოწყობილება;

7. სამუხრუჭე სისტემა

- 7.1. ნებადართულია მხოლოდ ქარხნული სამუხრუჭე სისტემა;
- 7.2. ნებადართულია ამ მოდელისთვის განკუთვნილი ქარხნული ზომის და კონფიგურაციის ნებისმიერი ტიპის სამუხრუჭე ხუნდის დაყენება;
- 7.3. დაშვებულია სამუხრუჭე სითხის წნევის (წინა უკანა) გამანაწილებელი ონკანის დაყენება;
- 7.4. აუცილებელია ხელის მუხრუჭის გამართული ფუნქციონირება, თუნდაც ეს უკანასკნელი არ იყოს ქარხნული;
- 7.5. აკრძალულია სამუხრუჭე ძალის ვაკუუმური გამაძლიერებლის გაუქმება (თუ ასეთით აღჭურვილია ავტომობილი ქარხნულად);
- 7.6. აკრძალულია წინა სამუხრუჭე დისკოების ქარხნული ფორმის და ზომის შეცვლა;
- 7.7. დასაშვებია ქარხნული პარამეტრების იდენტური წინა სამუხრუჭე დისკოს დაყენება, რომლის დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს 240 მმ-ს;



7.8. დასაშვებია უკანა სამუხრუჭე დოლების ან დისკოების მოდიფიკაცია ან ურთიერთ ჩანაცვლება რომლის დიამეტრიც არ უნდა აღემატებოდეს A 239 მმ;

8. საჭის მართვის სისტემა

8.1. ნებადართულია საჭის მექანიკური ან ელექტრო ჰიდრო გამაძლიერებლის გაუქმება ან დამონტაჟება;

9. სავალი ნაწილი

9.1. სტაბილიზატორი

9.1.1. დაშვებულია ავტომობილზე ნებისმიერი ზომის წინა და უკანა განივი მდგომარეობის სტაბილიზატორი, თუნდაც ამ უკანასკნელით ავტომობილი არ იყოს აღჭურვილი ქარხნულად;

9.2. დაკიდების სისტემა

9.2.1. ნებადართულია ამორტიზატორების და ზამბარების შეცვლა;

9.2.2. წინა და უკანა ამორტიზატორების ზედა ბალიშები უნდა იყოს ქარხნული წარმოების ამ კონკრეტული მოდელისთვის;

9.2.3. ავტომობილის უკანა დაკიდების სისტემა უნდა იყოს ქარხნული;

9.2.4. დასაშვებია უკანა დაკიდების სისტემაში ქარხნული ელემენტების ჩანაცვლება რეგულირებადი ბერკეტებით;

9.3. საბურავები

9.3.1. დასაშვებია მხოლოდ ორგანიზატორის მიერ დაშვებული საბურავი;

9.3.2. საბურავების ზომა განისაზღვრება: მაქსიმალური სიგანე არაუმეტეს 195 მმ. მინიმალური სიმაღლე 50%. დისკის მაქსიმალური რადიუსი 15 ინჩი. დისკის მაქსიმალური სიგანე - 7ჯ (J). დისკის მაქსიმალური გამოწეულობა - ეტ (ET) ნებისმიერი, რომელიც არ უნდა ცდებოდეს 9.4 მუხლით დადგენილ პარამეტრებს;

9.3.3. დასაშვებია ნებისმიერი დისკი რომელიც შეესაბამება ზემოთ მოცემულ სტანდარტებს;

9.3.4. არსებული კლასისთვის შეიძლება გამოცემულ იქნას დამატებითი რეგულაცია საბურავთან დაკავშირებით, რომელიც გამოიცემა უშუალოდ ორგანიზატორის მიერ;

9.4. ლიანდი

9.4.1. ავტომობილის წინა საბურავების კვალის მაქსიმალური სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 177 სანტიმეტრს;

9.4.2. ავტომობილის უკანა საბურავების კვალის მაქსიმალური სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 175 სანტიმეტრს;

9.4.3. კვალის მაქსიმალური სიგანედ ითვლება საბურავების გარე ქვედა წერტილებს შორის არსებული მანძილი;

10. ელექტრო სისტემა

10.1. დაუშვებელია კომპიუტერის ნებისმიერი პროგრამირება. კომპიუტერი უნდა იყოს შესაბამისი ძრავის მოდელისთვის განკუთვნილი საიდენტიფიკაციო მონაცემებით. რომელიც მოცემულია დანართი #1-ში;

10.2. აკრძალულია ავტომობილის მაშუქი და სასიგნალო ელემენტების მოცილება;


10.3. ავტომობილზე გამართულად უნდა მუშაობდეს ყველა გარეთა ელექტრო ელემენტი (ავარიული ციმციმა, გაბარიტული სანათები წინ და უკან, ახლო და შორი ნათების ნათურები, სამუხრუჭე სანათები და სხვა);

10.4. ავტომობილის წინა მაშუქები დაფარული უნდა იყოს გამჭვირვალე წებადი ფირით;

10.5. ნებისმიერი ჩარევა გარდა წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული დაშვებებისა ჩაითვლება რეგლამენტის დარღვევად;

10.6. აკუმულატორი

- 10.6.1.** აკუმულატორი მყარად უნდა იყოს დამაგრებული და მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანებისაგან. (დან. J. 254.6.8. და 255.5.8.3);
- 10.6.2.** დასაშვებია აკუმულატორის არაქარხნულ ადგილას (პილოტის და შტურმანის სავარძლების უკან) გადატანა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მყარად იქნება დამაგრებული და დახურული იქნება დამცავი კონსტრუქციით (დან. J. 255.5.8.) ამ შემთხვევაში აკუმულატორი უნდა იყოს მშრალი ტიპის (არა სითხიანი);
- 10.6.3.** არაქარხნულ ადგილას აკუმულატორის გადატანის დროს, თუ აკუმულატორი არის სითხიანი, ის აუცილებლად უნდა იყოს დაფარული სპეციალური ჰერმეტიკული ხუფით, რომელიც დამაგრებულია დამოუკიდებლად ბატარეის სამაგრისგან. ამავე დროს ამ ხუფს უნდა გააჩნდეს სადრენაჟო და სავენტილაციო მილები, რომლებიც თავდება ძარის გარეთ;
- 10.6.4.** აკუმულატორის სამაგრი დაფარული უნდა იყოს, ხოლო დამცავი ხუფი დაფარული ან დამზადებული არა ელექტრო გამტარი მასალისაგან;



- 10.6.5.** აკუმულატორის მარკა და ტევადობა , თავისუფალია;
- 10.6.6.** აკუმულატორი დამაგრებული უნდა იყოს ისე მყარად, რომ მის პოლუსებს შორის მოკლე ჩართვა გამოირიცხოს;
- 10.6.7.** თუ აკუმულატორის დამაგრების ადგილი იცვლება, მისი დამაგრება უნდა განხორციელდეს საყრდენი ბუდის და ორი საიზოლაციო მასალით დაფარული მეტალის ლარტყის საშუალებით, სისქით არა ნაკლებ 0.8 მმ და სიგანით 20 მმ. ისინი მიმაგრებული უნდა იქნან მანქანის ფსკერთან ჭანჭიკებით და ქანჩებით დიამეტრით არა ნაკლები 10 მმ და გამაძლიერებელი ფირფიტებით. ყველა ქანჩის ქვეშ უნდა იყოს 3 მმ სისქის ფირფიტა. ასეთი ფირფიტის ფართობი უნდა იყოს არა ნაკლები 20 სმ² და უნდა იყოს განლაგებული ძარის გარეთა მხრიდან;
- 10.6.8.** თუ აკუმულატორი ე.წ. მშრალი ტიპისაა და განთავსებულია სალონში ის უნდა

იყოს მთლიანად იზილორებული დიელექტრიკული ხუფით;

11. გაყვანილობა

- 11.1. საწვავის, ზეთის და მუხრუჭის ხაზები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ყველა სახის შესაძლო დაზიანებისაგან;
- 11.2. საწვავის ავზის ან საწვავთან დაკავშირებული დამატებითი კომპონენტების საბარგულში განთავსების შემთხვევაში, საბარგულის განყოფილება ავტომობილის სალონისგან ჰერმეტიკულად უნდა იყოს გამოყოფილი არა აალებადი მასალით. ისეთ ავტომობილებში, რომელთაც არ აქვთ დამოუკიდებელი საბარგულის განყოფილება (ჰეჩბეკი, კუპე და ა.შ.) და ზემოთ ნახსენები საწვავის სისტემები (საწვავის ავზი, საწვავის დამატებითი სისტემა და ა.შ.) გადატანილი აქვთ საბარგულში, ეს კომპონენტები დაფარული უნდა იყოს უწყვადი ჰერმეტიკული გარსაცმით;
- 11.3. ელექტრო გაყვანილობის სადენები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ყველა სახის შესაძლო დაზიანებისაგან (მტვერი, წყალი, ქვები, ხანძარი და ა.შ.);
- 11.4. ქვემოთ მოცემულ ნახაზებზე ნაჩვენებია მიღების გაყვანის მეთოდი მეტალის ტიხრებში;



12. ძარა

- 12.1. ავტომობილის ძარას არ უნდა აკლდეს ქარხნული შემადგენელი ნაწილები. შესაძლებელია პლასტმასის დეკორატიული ნაწილების მოხსნა;
- 12.2. დასაშვებია მხოლოდ სტანდარტული კონფიგურაცია. აკრძალულია აეროდინამიკული ელემენტების (ფრთა, სპოილერი, არა ქარხნული ზამპერი) წინა და უკანა ფრთების კონფიგურაციის შეცვლა;
- 12.3. ავტომობილის ძარის ყველა აგრეგატი უნდა ასრულებდეს ქარხნულ დანიშნულებას, ანუ ყველა კარი, ძრავის განყოფილების ხუფი და საბარგულის ხუფი უნდა იღებოდეს და იკეტებოდეს სხვა დამხმარე ხელსაწყოების გამოყენების გარეშე;
- 12.4. ავტომობილს უნდა გააჩნდეს ჩასაბმელი, როგორც წინა, ასევე უკანა მხარეს, რომელიც იოლად შესამჩნევი იქნება შეჯიბრის პერსონალისთვის. ჩასაბმელი, არ უნდა სცდებოდეს ძარის გარე კონტურს, შეფერილი უნდა იყოს მკვეთრად კონტრასტული ფერით (ფორთოხლისფერი, ყვითელი, ფოსფორისფერი და ა.შ.). აღნიშნული უნდა იყოს ძარაზე მიმანიშნებელი ისრით, რომელიც იქნება ძარის ფერისგან განსხვავებული მკვეთრად გარჩევადი ფერის. ჩასაბმელი, შესაძლებელია იყოს ღვედის სახის. ქვემოთ სურათზე ნაჩვენებია, ღვედური ჩასაბმელის ნიმუში;



- 12.5. სავალდებულოა შეჯიბრებაში მონაწილე ძარიან ავტომობილზე გამართულად მუშაობდეს: ფარები, მოხვევის და ავარიული მაჩვენებლები, მუხრუჭის სანათები, და საქარე მინის საწმენდი;
- 12.6. დაუშვებელია ბამპერში საჰაერო ჭრილების (ვენტილაციისთვის) გაკეთება;
- 12.7. ავტომობილს უნდა ეყენოს მინიმუმ ერთი მინის საწმენდი;
- 12.8. იკრძალება ბამპერის შიგნით, კარებში და ინსტრუმენტალური პანელის ქვეშ არსებული ძალური ელემენტების (თუ კი ასეთი ქარხნულად არის გათვალისწინებული) მოცილება;
- 12.9. წონა
 - 12.9.1. სრულად აღჭურვილი ავტომობილის წონა პილოტით და სრული სპორტული ეკიპირების (დამცავი ჩაფხუტი, ხელთათმანები, კომბინიზონი და სხვა) ჩათვლით უნდა იყოს არანაკლებ 950 კგ როგორც ტექნიკურ კომისიაზე და რბოლაზე, ასევე რბოლის დასრულების შემდეგ;

13. მინები

- 13.1. ავტომობილის წინა საქარე, გვერდითი და უკანა მინები უნდა იყოს ქარხნული წარმოების;
- 13.2. ავტომობილის მინები (გარდა წინა საქარესი) დაფარული უნდა იყოს გამჭირვალე ფირით არაუმეტეს 0.4 მმ სისქით;
- 13.3. წინა საქარე მინა უნდა იყოს ბზარების გარეშე;
- 13.4. დასაშვებია საქარე მინაზე მზისგან დამცავი ფირის გადაკვრა, იმ შემთხვევაში თუ შიგნით მყოფ პირს თავისუფლად შეუძლია გარე არეალის (მანიშნებელი დროშების, შუქნიშნების, საგზაო ნიშნების და ა.შ.) დანახვა;
- 13.5. ავტომობილის გვერდითი და უკანა მინების შუქის გამტარიანობის დონე არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმუმზე მეტი და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მანქანის სალონის დანახვა არანაკლებ 5 მეტრიდან.
- 13.6. ავტომობილის წინა გვერდითი კარის მინები მოძრაობაში უნდა მოდიოდეს ქარხნული წესით დამზადებული ამძრავი მექანიზმით;
- 13.7. დასაშვებია წინა კარის მინის ამძრავი მექანიზმის შეცვლა იგივე მოდელის სხვა ტიპის ამძრავით (ელექტრო ამძრავი მექანიკურით და პირიქით);
- 13.8. ავტომობილის წინა საქარე მინა უნდა იყოს მრავალშრიანი (შუშის ფენა უნდა იყოს მინიმუმ 2 (ორი));

14. ინტერიერი

14.1. მაჩვენებელთა პანელი


- 14.1.1. ავტომობილს, რომელიც მონაწილეობას იღებს შეჯიბრებაში აუცილებლად უნდა გააჩნდეს ქარხნული წარმოების მაჩვენებელთა დაფის კონსოლი (ე.წ. „ტორპედო“);
- 14.1.2. სავალდებულოა უსაფრთხოების ბალიშების გაუქმება, ისე რომ არ დაირღვეს მაჩვენებელთა დაფის კონსოლის მთლიანობა;
- 14.1.3. მაჩვენებელთა დაფის კონსოლზე ზედა მხარეს დამატებითი მაჩვენებლების დაყენება შესაძლებელია, თუ ის არ ქმნის დამატებით რისკებს, არ უშლის ხელს მრბოლელს ავტომობილის მართვაში და არ უფარავს ხედვის არეს;

14.2. სალონის მოპირკეთება

- 14.2.1. სპორტული ავტომობილის კარების შიგა მხარე და ავტომობილში არსებული ყველა გვერდითი ღიობები აუცილებლად უნდა იყოს დაფარული ქარხნული საფარით ან შეცვლილი: 0.5მმ მეტალის, 1 მმ ალუმინის და 2 მმ სხვა ძნელად აალებადი მასალით;
- 14.2.2. სპორტული ავტომობილის სალონში (იატაკზე, ჭერზე, გვერდებზე და ა.შ.) არსებული ადვილად აალებადი მოპირკეთება უნდა იყოს მოხსნილი;
- 14.2.3. სპორტული ავტომობილის სალონის ქარხნული მოპირკეთება (ჭერის, იატაკის, კარებების და ა.შ.) შესაძლოა შეცვლილი იყოს სხვა ძნელად აალებადი მასალით;

15. ბალასტი.

- 15.1. ბალასტის (დამატებითი წონის) დამატების შემთხვევაში ის უნდა განთავსდეს სალონში, გამოსაჩენ ადგილას;
- 15.2. ბალასტი აუცილებლად დამაგრებული უნდა იყოს მყარად მანქანის ძირზე. (დან. J. 253.16);
- 15.3. ჭანჭიკების და ქანჩების კონსტრუქცია უნდა იძლეოდეს ბალასტის დალუქვის შესაძლებლობას;



მინიმალური ფართობი გამლიერების ფირფიტებსა და იატაკის ზედაპირებს შორის უნდა იყოს არა ნაკლები 40 სმ².

ჭანჭიკების რაოდენობა არა ნაკლები 2 ცალი ყოველ 20 კგ ბალასტის წონაზე და არა ნაკლები 2 ცალი დამატებითი წანჭიკი თუ დასამატებელ ბლოკის წონა 10 კგ აღემატება.

ჭანჭიკების განთავსება საჭიროა ბლოკის პერიმეტრის სიახლოვეს ერთმანეთისგან მაქსიმალური დაშორებით.

სასურველია ბალასტი განთავსდეს ძარის ვერტიკალურ ელემენტების სიახლოვეს (კარდანის გვირაბი, ჩაკეტილ კონტურიანი ძელი და ა.შ.)

ასევე რეკომენდირებულია გამამლიერებელი ფირფიტების ძარის იატაკზე მიდუღება.

16. უსაფრთხოების აღჭურვილობა


16.1. ეკიპაჟის უსაფრთხოების აღჭურვილობა

16.1.1. ეკიპირება. მრბოლელი აღჭურვილი უნდა იყოს ჩაფხუტით, ცეცხლგამძლე სპორტული კომბინიზონით, შიდა სამოსით, ნიღაბით ან ბალაკლავით, სპორტული ხელთათმანებით და ფეხსაცმლით. ყველა აღნიშნული ნივთი უნდა იყოს ჰომოლოგირებული ან ყოფილი ჰომოლოგაციის და უნდა შეესაბამებოდეს FIA-ს ან SFI-ს სტანდარტებს;

16.1.2. დამცავი ჩაფხუტი :შესაბამისი ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების (FIA-ს ტექნიკური ჩამონათვალი №25 სერთიფიცირებული ჩაფხუტების ფურცელი SnellFoundation) შესაბამისი.

- FIA 8860-2004;
- FIA 8860-2010;
- FIA 8859-2015;
- FIA 8858-2010;
- FIA 8858-2002;
- Snell Foundation EA 2016 (აშშ);
- Snell Foundation SA 2015 (აშშ);
- Snell Foundation SAH 2010 (აშშ);
- Snell Foundation SA 2010 (აშშ);
- Snell Foundation SA 2005 (აშშ);

- Snell Foundation SA 2000 (აშშ)*;
- SFI Foundation Inc, spec.31.1, SFI spec.31.1A და SFI 31.2A (აშშ)
- -BritishStandardsInstitutionBS6658-85 ტიპი A/FR- SnellM
- -SnellM 2010
- -SnellM 2005
- -SnellM 2000
- -SnellM 95



16.1.3. სპორტული კომბინიზონი: შესაბამისი ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების

- FIA 8856-2000;
- SFI Foundation Inc 3.2A/1 და ზევით (მარკირება მითითებულია ქვემოთ სურათში);
- BSEN 533 index 3 (დამზადებული ცეცხლგამძლე ნაჭრისგან Proban®, Pyrovatex®, Banox® (მარკირება მითითებულია ქვემოთ სურათში);




16.1.4. დამხმარე ეკიპირება: ხელთათმანი „ბალაკლავა“ ზედა და ქვედა საცვალი გრძელი ბოლოთი, წინდა და ფეხსაცმელი. შესაბამისი ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტის:

- FIA 8856-2000;
- ISO 6940;
- SFIFoundationInc 3.3A/1 და ზევით (მარკირება მითითებულია ქვემოთ სურათში);
- BSEN 533 index 3 (დამზადებული ცეცხლგამძლე ნაჭრისგან Proban®, Pyrovatex®, Banox® (მარკირება მითითებულია ქვემოთ სურათში)




16.1.5. HANS. შემდეგი სტანდარტის

- SFI Specification 38.1
- FIA8858-2010 (FIA-ს ტექნიკური ჩამონათვალი №29) www.hansdevice.com



16.2. ავტომობილის უსაფრთხოების აღჭურვილობა

16.2.1. უსაფრთხოების ღვედი. მრბოლელს რბოლის პროცესში აუცილებლად უნდა ეკეთოს FIA8853-1998, FIA8854-1998 (FIA ტექნიკური ჩამონათვალი # 24) და FIA8853-2016 (FIA ტექნიკური ჩამონათვალი # 57) ან SFI spec. 16.1 (გამოყენების ვადა 2 წელი) სტანდარტის 4, 5 ან 6 წერტილიანი სპორტული ღვედი, რომელიც ავტომობილში დამონტაჟებული იქნება FIA-ს მოთხოვნის შესაბამისად. (დან. J. 253.6);




16.2.2. სპორტული სავარძელი. ავტომობილის წინა ქარხნული სავარძელი შეცვლილი უნდა იქნას FIA8855-1999 (FIA-ს ტექნიკური ჩამონათვალი # 12), FIA8862-2009 (FIA-ს ტექნიკური ჩამონათვალი # 40) ან SFI-ს სტანდარტის სპორტული სავარძლით;



16.2.3. სპორტული სავარძლის სამაგრი. სპორტული სავარძლის სამაგრის მოწყობის ნახაზი, FIA-ს დანართი J 253-ის, მე-16 თავის მიხედვით:

დაბოლოების ფირფიტები არ უნდა იყოს მიდუღებული კონტრფირფიტებზე.



სამაგრის დაბოლოების ფირფიტები არ უნდა იყოს მიდუღებული კონტრფირფიტებზე;

16.2.4. ცეცხლმაქრი. 2018 წლის სეზონზე შეჯიბრებებში მონაწილე ავტომობილისთვის რეკომენდებულია ცეცხლმაქრის ცენტრალიზებული სისტემის დაყენება. სპორტული ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს მინიმუმ გადასატანი (მოხსნადი) ცეცხლმაქრით. იმ შემთხვევაში თუ ცეცხლმაქრის შიგთავსი წარმოდგენილია ფხვნილის სახით, მისი წონა უნდა იყოს არანაკლებ 2 (ორი) კილოგრამი. იმ შემთხვევაში თუ ცეცხლმაქრის შიგთავსი წარმოდგენილია ქაფის სახით, მისი მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 3.5 ლიტრი. ცეცხლმაქრი უნდა იყოს შესაბამის დონემდე დატენილი და მისი ვარგისიანობა არ უნდა იყოს ამოწურული;

16.2.4.1. ცეცხლმაქრი დამაგრებული უნდა იყოს ისეთ ადგილას, რომ მრბოლელისთვის ადვილი იყოს მისი გამოყენება;

16.2.4.2. ცეცხლმაქრს უნდა გააჩნდეს სპეციალური საზედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული ხარისხთან შესაბამისობის ან ვარგისიანობის სერთიფიკატი და მოქმედების ვადა;

16.2.4.3. ცეცხლმაქრი განთავსებული უნდა იყოს მანქანის წამყვანი ღერძის(ების) პარალელურად და დამაგრებული უნდა იყოს ისე, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს ყოველგვარი სხვა დამხმარე ინსტრუმენტის გარეშე. (დან. J. 253.7);

16.2.4.4. ცეცხლმაქრის სამაგრი აღჭურვილი უნდა იყოს გვერდით გაცურების საწინააღმდეგო ფირფიტებით;

16.2.5. უსაფრთხოების კარკასი.

16.2.5.1. უსაფრთხოების კარკასი, დამზადებული და დამონტაჟებული უნდა იყოს FIA-ს სტანდარტის შესაბამისად (დან. J. 253.8);

16.2.5.2. ასევე დაიშვება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ეროვნული ომოლოგაციის მქონე უსაფრთხოების კარკასი და ავტომობილის სპორტულ-ტექნიკურ პასპორტში დამოწმებული უნდა იყოს სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული მწარმოებლის მიერ;

16.2.5.3. ტექნიკური კომისიის გავლის დროს, მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას უსაფრთხოების კარკასის სერტიფიკატი, გაცემული მწარმოებლის მიერ;

16.2.6. ელექტრო ამომრთველი

16.2.6.1. ელექტრო ამომრთველმა უნდა შეწყვიტოს ელ. კვების მიწოდება ავტომობილის საბორტო წრედზე და გააჩეროს ძრავის და სხვა აგრეგატების მუშაობა.(დან. J. 253.13);

16.2.6.2. ელექტრო ამომრთველი დამაგრებული უნდა იყოს მანქანის სალონში და მისი ამოქმედება შესაძლებელი უნდა იყოს ავტომობილის გარედანაც;

16.2.6.3. სალონში ელექტრო ამომრთველი დამაგრებული უნდა იყოს ისეთ

ადგილას, რომ მძღოლს და შტურმანს ღვედის გაუხსნელად შეეძლოთ მისი გამოყენება;

16.2.6.4. სალონის გარეთ ელექტრო ამომრთველი სისტემის ამძრავი დამაგრებული უნდა იყოს საქარე მინის ქვედა ზონაში, აღნიშნული უნდა იყოს სპეციალური ნიშნით, ლურჯ სამკუთხედ ფონზე თეთრი არშიით, წიბოს ზომით მინიმუმ 12 სმ, ზედ გამოსახული წითელი ელვა თეთრი არშიით (ნიშნში მოცემულია ქვემოთ). ზემოთ აღნიშნული ნიშანი უნდა იყოს იოლად შესამჩნევი და გამოსაყენებელი გარეშე პირისათვის;



მინ. 12 სმ

16.2.7. უსაფრთხოების ბადეები

16.2.7.1. კარის ღიობის დამცავი უსაფრთხოების ბადეები მძღოლის მხარეს აუცილებელია;

16.2.7.2. უსაფრთხოების ბადე უნდა მაგრდებოდეს უსაფრთხოების კარკასზე და არ უნდა იყოს კავშირში ძარასთან და მის შემადგენელ ნაწილებთან. გვერდხედში ბადე განთავსებული უნდა იყოს საჭის ცენტრიდან ძარის შუა საყრდენამდე. ბადე უნდა იხსნებოდეს სწრაფჩახსნადი შემაერთებლებით, ცალი ხელით. ჩამხსნელები უნდა იყოს შეფერილი, მკვეთრი ფერადი (ნარინჯისფერი, ყვითელი, წითელი) საღებავით. დასაშვებია ღილაკზე დაჭერით გახსნადი ჩამკეტები, რომელიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს;

16.2.7.3. ბადის ღვედის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 19 მმ-ისა. ბადის ღვედებს შორის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 25x25 მმ-ისა და არაუმეტეს 60x60 მმ-ისა. ბადე დამზადებული უნდა იყოს არა აალებადი მასალისგან და მისი შემადგენელი ზოლები უნდა იყოს ერთმანეთზე გადაკერილი, ყველა კვეთაში;

(სსსფ იძლევა რეკომენდაციას, მომავალში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ყველა მრბოლელმა, რომელსაც აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებაში, სსსფ-ს ტექნიკურ შემოწმებამდე, მოიყვანოს ავტომობილი მზადყოფნაში და წინასწარ, კონსულტაციის დონეზე გაიაროს დათვალიერება სსსფ-ს ტექნიკურ კომისართან)

დამტკიცებულია

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ტექნიკური კომისიის მიერ

შალვა ზამთარაძე _____

_____ 2018 წელი

დანართი #1

D14A2

- გამოშვება: 1995–1997 Honda Civic MA8 (ევროპის ბაზრისთვის)
- მოცულობა : 1,396 სმ³
- დგუშის დიამეტრი და სვლა : 75.0 მმ × 79.0 მმ
- კომპრესია : 9.2:1
- კომპიუტერის მოდელი: P1J
- სიმძლავრე : 89 ცხმ (66.4 კვტ) @ 6,100 ბრ/წთ
- მომენტი : 117 ნმ @ 5,000 ბრ/წთ
- აირგანაწილების სისტემა : SOHC (4 სარქველი 1 ცილინდრზე, 1 გამანაწილებელი ლილვი)
- საწვავის სისტემა : მრავალწერტილიანი შეფრქვევა, PGM-FI
- მაქსიმალური ბრუნვათა რიცხვი : 6,800 ბრ/წთ
- საწვავის შეწყვეტა : 7,250 ბრ/წთ

D14A3

- გამოშვება: 1996–2000 Honda Civic 1.4i EJ9 (ევროპის ბაზრისთვის)
- მოცულობა : 1,396 სმ³
- დგუშის დიამეტრი და სვლა: 75.0 მმ × 79.0 მმ
- კომპრესია : 9.1:1
- კომპიუტერის მოდელი: P3X
- სიმძლავრე : 75 ცხმ (55 კვტ) @ 6,000 ბრ/წთ
- მომენტი : 109 ნმ @ 3,000 ბრ/წთ
- აირგანაწილების სისტემა: SOHC (4 სარქველი ცილინდრზე), არა VTEC
- მაქსიმალური ბრუნვათა რიცხვი : 6,800 ბრ/წთ
- საწვავის შეწყვეტა: 7,200 ბრ/წთ
- საწვავის შეფრქვევის სისტემა : OBD2-a, DPFI (SFfi)
- ტრანსმისია: S40

D14A4

- გამოშვება: 1996–1998 Honda Civic 1.4iS EJ9 (ევროპის ბაზრისთვის)
- მოცულობა: 1,396 სმ³
- დგუშის დიამეტრი და სვლა: 75.0 მმ × 79.0 მმ
- კომპრესია : 9.2:1
- დგუშის კოდი: P3Y
- ბარბაცას ცენტრიდან დგუშის ზედაპირამდე მანძილი: 29.5 მმ
- დგუშის ამოღრმავება: -5.4 სმ³
- კომპიუტერის მოდელი: P3Y
- ბარბაცას დიამეტრი: 43 მმ
- ბარბაცას სიგრძე (ცენტრებს შორის): 138 მმ
- სიმძლავრე : 90 ცხმ (66 კვტ) @ 6,300 ბრ/წთ
- მომენტი: 124 ნმ @ 4,500 ბრ/წთ
- აირგანაწილების სისტემა : SOHC, (4 სარქველი ცილინდრზე), არა VTEC
- მაქსიმალური ბრუნვათა რიცხვი : 6,800 ბრ/წთ
- საწვავის შეწყვეტა: 7,200 ბრ/წთ
- საწვავის შეფრქვევის სისტემა : OBD2-a, DPFI (SFfi)
- ტრანსმისია : S40 (ან S4PA 4AT-თვის)

D14Z1

- გამოშვება: 1999–2000 Honda Civic ej9 (1.4i, ევროპისთვის)
- სიმძლავრე : 75 ცხმ (55 კვტ)
- აირგანაწილების სისტემა : SOHC, (4 სარქველი ცილინდრზე), არა VTEC
- დგუმის დიამეტრი და სვლა: 75.0 მმ × 79.0 მმ
- ცილინდრის კოდი: phxg
- ბარბაცას სიგრძე : 138 მმ
- ბარბაცა/სვლა : 1.747
- მაქსიმალური ბრუნვათა რიცხვი: 6,800 ბრ/წთ
- საწვავის შეწყვეტა : 7,200 ბრ/წთ

D14Z2

- გამოშვება: 1999–2000 Honda Civic EJ9 (1.4i, UK)
- მოცულობა : 1,396 სმ
- კომპრესია : 9.1:1
- სიმძლავრე: 90 ცხ/მ (66 კვტ) @ 6,300 ბრ/წთ
- აირგანაწილების სისტემა : SOHC, (4 სარქველი ცილინდრზე), არა VTEC
- დგუმის დიამეტრი და სვლა: 75.0 მმ × 79.0 მმ
- მაქსიმალური ბრუნვათა რიცხვი: 6,800 ბრ/წთ
- საწვავის შეწყვეტა : 7,200 ბრ/წთ

D15B2

- გამოშვება:
- 1988–1991 Honda Civic GL/DX/LX
- 1988–1991 Honda Civic Wagon Wagon/DX